

ხელშეკრულება

ქ. თბილისი

-----, 2020წ.

ერთი მხრივ, შპს „ავერსი-ფარმა“ (ს/კ 211386695) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ირაკლი ფურცელაძის სახით, (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ შპს „-----“ (ს/კ -----), წარმოდგენილი მისი ----- სახით (შემდგომში „შემსრულებელი“) ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი ვალდებულია გაუწიოს დამკვეთს მთარგმნელობითი მომსახურება, კერძოდ, განახორციელოს დამკვეთის მიერ მიწოდებული (მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით) მასალის/დოკუმენტაციის თარგმნა მოთხოვნილ ენაზე (შემდგომში „მომსახურება“) და საჭიროების შემთხვევაში ნათარგმნის ნოტარიალურად დამოწმება;

2. მომსახურების ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ტარიფები მოცემულია დანართი #1-ში, რომელიც თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 დამკვეთის მიერ სათარგმნად დიდი მოცულობის მასალის მოწოდების შემთხვევაში მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ დანართით განსაზღვრული ტარიფისგან განსხვავებულ (უფრო ნაკლებ) ტარიფზე, რაც დადასტურებული იქნება ელექტრონულ მისამართზე დამკვეთის თანხმობით და საბოლოოდ აისახება შესაბამის ინვოისში.

3. მომსახურების ხარისხი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს. მომსახურება გაწეულ უნდა იქნას გამართული იურიდიული ან შესაბამისი ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. დამკვეთი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება, შემსრულებლის მიერ ინვოისის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიწოდების საფუძველზე, ყოველი კალენდარული თვის ბოლოს.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

4.3. გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

5. მხარეთა ურთერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხარისხიანად და კვალიფიციურად.

5.2. დამკვეთი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს კონკრეტული გაწეული მომსახურების სრული ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და ფორმით.

5.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურება აღმოჩნდება უხარისხო, კერძოდ, შემსრულებლის მიერ თარგმანში დაშვებული იქნება შეცდომა ან/და სათარგმნი და თარგმანი არ აღმოჩნდება ერთმანეთთან შესაბამისობაში, დამკვეთი უფლებამოსილია არ გადაუხადოს შემსრულებელს აღნიშნული მომსახურების ღირებულება და მოითხოვოს, ხოლო ამ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია აუნაზღაუროს დამკვეთს აღნიშნული ქმედებით მიყენებული ზიანი სრულად.

6. კონფიდენციალობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას შემსრულებლის მიერ დამკვეთისგან მიღებული ნებისმიერი დოკუმენტი, მასალა, ინფორმაცია წარმოადგენს დამკვეთის კონფიდენციალურ ინფორმაციას.

6.2. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გადასცეს ის მესამე მხარეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს და ამ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია აუნაზღაუროს დამკვეთს ზიანი სრული მოცულობით.

6.3. კონფიდენციალობის ვალდებულება ძალაში რჩება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის/ვადის გასვლის შემდეგაც განუსაზღვრელი პერიოდით.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება ერთ კვირაზე მეტ ხანს, თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

8. დავები და გამოსაყენებელი სამართალი

8.1 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე გადაწყდება საქართველოს სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით.

9.2 თუ რომელიმე მხარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე 1 (ერთი) თვით ადრე არ მოითხოვს შეწყვეტას, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება ყოველი მომდევნო 1 (ერთი) წლის ვადით.

10. სხვა პირობები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„დამკვეთი“

შპს „ავერსი-ფარმა“

თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 148/2

ს/კ 211386695

სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი BAGAGE22

ა/ა GE06BG000000122932100

გენერალური დირექტორი

ირაკლი ფურცელაძე

„შემსრულებელი“

შპს "-----"

ს/კ -----

სს -----

ბანკის კოდი -----

ა/ა -----

დირექტორი

„დამკვეთი“

შპს „ავერსი-ფარმა“

თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 148/2

ს/კ 211386695

სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი BAGAGE22

ა/ა GE06BG000000122932100

გენერალური დირექტორი

ირაკლი ფურცელაძე

„შემსრულებელი“

შპს _____

ს/კ -----

სს -----

ბანკის კოდი -----

ა/ა -----

დირექტორი
